პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაკვეთა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.

ტელეფონი №

№ 151 შაბათი, 3 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 3 სექტემბერი, 1921 წ. № 151

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 სექტემბერი
შაბათი

1866. 1 ინტერნაციონალის 1 ლი კონგრესი ჟენევში, რომელზედაც მუშათა კლასის ეკონომიური განთავისუფლება ცნობილ იქნა მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზნად.

1866. უმაღლესი ბრძანება პოლონელ სტუდენტთა მიღების განსაზღვრის შესახებ.

დღიური

— რუს. აღმ. კომიტეტმა, კონტრ-რევოლიუციური მოღვაწეობისათვის დაშალა დამშეულთა დამხმარე საზოგადო მოღვაწეთა კომიტეტი.

— პარიზში დაარსდა დამშეულთა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი.

— პოლონეთში დახურეს მუშური გაზეთები.

— ავსტრიაში სექტემბრიდან გამოვა რუს მონარქისტების ორგანო „სამშობლო“.

კიდევ საბჭოთა აპარატის გამარტივების შესახებ

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულია ორი, ერთგვარი ხასიათის მეტად საყურადღებო ცნობა: მთავრობის დადგენილების თანახმად, შესდგა საუწყებათაშორისო კომისია, რომელსაც დაწესებულებათა შემჭიდროება აქვს დავალებული; შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა საქრევკომში შეიტანა განსახილველად და დასამტკიცებლად დადგენილების პროექტი, სამაზრო და საქალაქო რევკომების შტატების შემცირების შესახებ, რომელიც უნდა გატარდეს დღიდან მისი გამოქვეყნებისა ორი კვირის განმავლობაში; საქმის დროზე და სისწორით აღსრულებისათვის პასუხისმგებელნი არიან რევკომების თავმჯდომარეები. ამნაირად, ჩვენი საბჭოთა აპარატის გამარტივების და გაჯანსაღების საკითხი უკვე გასცილდა საუბრის, სჯა-ბაასის საფეხურს და პრაქტიკულად გადაჭრის სფეროში მოექცა. ეს საკითხი იმდენად საჭირბოროტო და მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის, რომ საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ შევაჩეროთ მასზე მშრომელი ხალხის ყურადღება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ასე ვთქვათ, თავისთავად, სტიქიურად აღმოცენდა ჩვენში თითქმის ყველა ის დაწესებულებები, თავიანთი მრავალრიცხოვანი შტატებით და განყოფილებებით, რომელიც შექმნილი ჰქონდა საბჭოთა რუსეთის პრაქტიკას. მაგრამ იმ თავითვე ცხადი გახდა, რომ რუსეთის დაწესებულებათა უცვლელად და მექანიკურად გადმოტანა სრულიად არ შეეფერება საქართველოს, რომელიც შეუდარებლად უფრო პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს და სადაც სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ვითარებაც განსხვავებულია. თვით რუსეთში დაინახეს ბოლო ხანებში აუცილებლობა საბჭოთა აპარატის გამარტივებისა, და ამ მიმართულებით იქ გაჩაღებული იყო და არის სათანადო მუშაობა. ამის საჭიროება უფრო საგრძნობი შეიქმნა აქ, ჩვენში. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას სხვა, მეტად მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამ მხარეს დღევანდლამდი პრაქტიკულად ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია; მთავარი აქ ის არის, რომ საჭირო იყო ერთგვარი გამოცდილების დაგროვება, თუ რომელი, რა სახის დაწესებულება და რანაირი შტატი უფრო აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენი სახელმწიფოსათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ექვსი თვის განმავლობაში ამ მხრივ საჭირო პრაქტიკა შეიქმნა, და სწორედ დროულად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა აპარატის გამარტივების საქმის დაწყება. უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, როგორც ზემოთ დასახელებულ საუწყებათაშორისო კომისიას, ისე სხვა სათანადო ორგანოებს. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ძველი წყობილებიდან დარჩენილი ისეთი დაწესებულებები, რომლების არსებობა ახალ პირობებში ვერაფრით გამართლდება; გარდა ამისა, მრავალ დაწესებულებას დაახლოვებით ერთგვარი ვალდებულება აწევთ, მსგავს ფუნქციებს ასრულებენ. ხშირია ამასთან ფუნქციათა აღრევა. ყველაფერი ეს, ეჭვი არ არის, საქმეს აჭიანურებს და მისი ნორმალურ მიმდინარეობას აფერხებს. ამრიგად, უსარგებლო დაწესებულებათა სრული ლიკვიდაცია, ერთგვარ ან მსგავს დაწესებულებათა შემჭიდროება-შეერთება, დაწესებულებათა შორის ფუნქციების სასტიკი განსაზღვრა, ეს შეადგენს საბჭოთა აპარატის გამარტივება-გაჯანსაღების ერთ აუცილებელ პირობას.

მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმე გახლავთ შტატების შემცირება. რესპუბლიკის მოქალაქეთა მეტად დიდი პროცენტი სახელმწიფო სამსახურში ითვლება. ეს უამრავი ხალხი [illegible] სახელმწიფოს ფულს და ხაზინას. ასეთი მდგომარეობის ატანა არ შეუძლია არამც თუ ღარიბ საქართველოს, უფრო მდიდარ სახელმწიფოსაც. მაგრამ შტატების შემცირება საჭიროა არა მარტო სახელმწიფოებრივ ეკონომიური თვალსაზრისით, არამედ და უფრო იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი შეიქმნეს მოქნილი, სწრაფი, ხალხთან დაახლოვებული. დღეს დაწესებულებებში ერთის განსაკუთრებულ საქმეზე 5—10 კაცი „მუშაობს“. თქვენ იქ შეხვდებით უსაქმურობისაგან ძილმორეულ და მოლაყბე თანამშრომელს, რომელსაც დღეში ერთი თუ ორი ქაღალდის მიღება ან ჩაწერა თუ მოუწევს. სხვათა შორის ეს გარემოებაც ხელს უწყობს და ასაზრდოებს ჩვენი დროის უდიდეს სენს-ბიუროკრატიზმს. საქმე თუ ქაღალდი ერთიდან მეორეს ხელში გადადის, მეორიდან მესამეში და ასე დაუსრულებლივ; ბოლოს შეიძლება მთელი დაწესებულება მოიაროთ და თქვენი საქმის ვერც თავი გაიგოთ, ვერც ბოლო. ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს. შტატები უნდა შემცირდეს მინიმუმამდე, ხოლო დარჩენილების ენერგია 8 თუ 6 საათის სამუშაო დღე გამოყენებული მაქსიმალურად. ყველას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული საქმე, რომელსაც იგი გააკეთებს მიცემულ ვადის განმავლობაში. შტატის შემცირებასთან მჭიდრო კავშირი აქვს მოსამსახურეთა შერჩევას. ეხლა საკმაოდ გამორკვეული იქნება, თუ ვის გააჩნია ცოდნა, გამოცდილება და ხალისი მუშაობის. ყველა უვიცი, ორგული და შემთხვევითი ელემენტი უნდა იქნეს ჩამოშორებული და ადგილი დაეთმოს ისეთ ხალხს, რომელსაც მართლა სწყურია მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ სპეცებზე, სპეციალისტებზე. ასეთი ელემენტები შეუბრალებლად უნდა იქნან ჩამოცილებულნი, ვინაიდან ისინი არა მარტო თვითონ არაფერს აკეთებენ, არამედ მით თავისი მეშჩანური პსიქოლოგიით რყევა და დემორალიზაცია შეაქვთ მუშა-მოსამსახურეთა რიგებში. — ამრიგად, ზოგიერთ დაწესებულებათა გაუქმება, ან შემჭიდროება, მათ შორის ფუნქციათა განსაზღვრა, შტატების მაქსიმალური შემცირება და მოსამსახურეთა შერჩევა, აი ის რთული და პასუხსაგები საქმე, რომელიც დაჩქარებით უნდა იქნას გატარებული, საბჭოთა აპარატის გამარტივების და გაჯანსაღების მიზნით. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დარჩენილი მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობა უნდა იქნეს გაუმჯობესებული. ეს უფრო მოსახერხებელი და ადვილი იქნება შტატების შემცირების შემდეგ, როდესაც სახელმწიფოს მოუხდება ზრუნვა თავის თანამშრომელთა გაცილებით უფრო ნაკლებ რიცხვზე.

ჩვენი ამხანაგების მოვალეობაა, რომ დაწყებული ზომების საჩქაროდ გატარებას მთელი თავისი ენერგიით ხელი შეუწყონ, რომ ეს გადაუდებელი საქმე მიზან-შეწონილად დასრულდეს.

კოოპერაცია და სასურსათო ორგანოები

(დასასრული იხ. „კომ.“ № 150).

1916 წელს ჩვენში იყო 173 საზოგადოება, 1917 წელს 515 და 1918 891. რაც შეეხება ამ კოოპერატივებში შეკავშირებულ წევრთა რიცხვს, ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ცხრილი.

წლები:	აღმ. საქართველო.	დასავ. საქართველო	სულ.
	წევრთა რიცხვი.	წევრთა რიცხვი.	წევრთა რიცხ.
1916.	127820	13860	266420
1917.	567468	472980	1042448
1918.	882920	973760	1866180

კერძო ამხანაგობები შეკავშირებული არიან რაიონულ კავშირებში. ასეთი კავშირების რიცხვი 20-ია, თვითეული აერთიანებს 15-დან 60-მდე და მეტ კოოპერატიულ ორგანიზაციებს. ისინი არამც თუ მისდევენ ვაჭრობას, არამედ მუშაობენ თავის საკუთარი წარმოების შექმნაზე. ყველა ეს კავშირები გაერთიანებული არიან საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირში-ცეკავშირში, რომელმაც მოაწყო გორში კონსერვების ქარხანა, თბილისში საპნის ქარხანა, მექანიკური სახელოსნო, საკუთარი სტამბა და კალბასის ქარხანა. გორის რაიონულ კავშირს გორში აქვს საკუთარი ელექტრონის სადგური, რომელიც მომავალში ფიქრობს გორის ახლო მდებარე სოფლების მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოს. ამავე მხრით გადადგმულია ნაბიჯები საჯავახოს და ჭიათურის რაიონულ კავშირების მიერ. ოზურგეთის რაიონულ კავშირს აქვს აგურის ქარხანა, ხოლო კახეთისას კი თამბაქოს ქარხანა.

ამას გარდა ყველა ეს ორგანიზაციები ამზადებენ ნედლ მასალას და სურსათის პროდუქტებს. გლეხობა მათ ნდობით უყურებს. ეს ნდობა იმდენათ დიდია, რომ მწარმოებლები მათ პროდუქტებს ნისიად აძლევენ. მაშასადამე აქ კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით მიმდინარეობს თვით ცოცხალ საწარმოო ძალების, ადამიანების შეკავშირებისა და შეერთების პროცესი. საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატმა დასდო რამოდენიმე მილიარდი მანეთის ხელშეკრულება „ცეკავშირთან“. სწარმოებს სურსათის პროდუქტების დამზადება, აბრეშუმის პარკის მოგროვება და სხვა ნედლი მასალისა. ბოლოს და ბოლოს სწორედ ეს არის კოოპერატიული კაპიტალიზმი, რომელმაც უკვე გაიდგა სოფლად ღრმად ფესვები. ბევრს არ ესმის, თუ რატომ უნდა დაუჭიროთ მხარი კოოპერაციას. ხშირად გვესმის ჩვენ მშიერ მუშათა წინ მოლაპარაკე ამხანაგებისაგან, რომ კოოპერაცია იგივე სპეკულიანტია, რომელიც ჩვენ უნდა გადავყლაპოთ. ასეთის ფრაზებით ადვილად შეიძლება ტაშის კვრის დამსახურება, მაგრამ ძნელია კოოპერაციის გამაგრების აუცილებლობის თავიდან აცილება, რადგანაც კოოპერაცია არსებითი სარგებლობას აძლევს წვრილ-გლეხთა მთავრობას. ისინი ვინც ამ გვარ ფრაზებს ისვრიან, ვერ შეჰქმნიან ადგილობრივ ისეთ აპარატს, რომელიც სოციალისტურ რესპუბლიკას შეაძლებინებს 20,000 აბრეშუმის პარკის მოგროვებას—კოოპერაციამ კი ეს მიზანი უკვე განახორციელა, ვერ მოახერხებენ სასურსათო გადასახადის მოხერხებულად ახალი აპარატის შექმნას, კოოპერაციას კი ეს აპარატი მზათ აქვს, ვერ აშოვნიან გამოცდილ მუშაკებს, კოოპერაციას კი ისინი საკმაოდ მოეპოვება, ამიტომ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს კოოპერაციის განვითარებისა. „საბჭოთა ხელისუფლების დროის კოოპერატიული კაპიტალიზმი განსხვავდება კერძო სამეურნეო კაპიტალიზმისაგან; იგი სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის სახეს წარმოადგენს, როგორც ასეთი ჩვენთვის“ — რასაკვირველია განსაზღვრულ ზომამდის—გამოსადეგი და სასარგებლოა. იმდენად, რამდენადაც სასურსათო გადასახადი ნიშნავს პურეულობის სხვა დანარჩენ (გადასახადის გადების შემდეგ დარჩენილ) ზედმეტ რაოდენობის გაყიდვის თავისუფლებას, იმდენათ ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, რომ კაპიტალიზმის ეს განვითარება კოოპერატიულ კაპიტალიზმის კალაპოტში მოვაქციოთ. კოოპერატიული კაპიტალიზმი კი იმ მხრივ წააგავს სახელმწიფო კაპიტალიზმს, რომ იგი ადვილებს აღრიცხვას, კონტროლს, ზედამხედველობას, (ამ შემთხვევაში საბჭოთა), სახელმწიფოსა და კაპიტალიზმის შორის ხელშეკრულებების დადებას.

როგორც ვაჭრობის ფორმა, კოოპერაცია უფრო სასარგებლოა და ხელსაყრელიც, ვიდრე კერძო ვაჭრობა არა მარტო უკვე აღნიშნულ მიზეზების გამო, არამედ იმიტომაც, რომ იგი ადვილებს ჯერ მცხოვრებთა გაერთიანებას და შეკავშირებას, ეს გარემოება კი თავის მხრივ გიგანტიური პლიუსია სახელმწიფო კაპიტალიზმისაგან სოციალიზმისაკენ გადასვლის თვალსაზრისით“.

(ლენინი—სასურსათო გადასახადის შესახებ—მე-18-ე გვ.).

მუშათა კლასის ბატონობის დროს კოოპერაციის მუშაობა გაუადვილებს კომუნისტურ პარტიას კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის საქმეზე მუშაობას, ამის შესახებ ძლიერ ცოტა რამ იციან ჩვენმა ამხანაგებმა და ამიტომ ძლიერ ბევრ გაუგებრობას და უხიამოვნებას ჰქონდა ადგილი იმის გამო, რომ სასურსათო ორგანოებსა და კოოპერაციას შორის არ არის ნორმალური ურთიერთობა. ს. ხ. სას. კომთან არსებულ კოოპერაციული საქმეთა სამმართველო იძულებულია ყოველ დღე უგზავნოს სასურსათო ორგანოებს და რევკომებს დეპეშები—კოოპერაციის შინაურ საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ. დაიჭირეს გორის კოოპერატივთა კავშირის საწყობი, რომელიც სასურსათო კომისარიატის დავალებით აწვდიდა მუშებს პურს. ამ აქტის შედეგებით დაზიანდნენ მუშები ბორჯომისა და ხაშურის. სიღნაღის რევკომმა ჩამოართვა კახეთის კავშირს თამბაქოს ქარხანა, რის გამო ქარხნის შრომის ნაყოფიერება დაეცა. ზუგდიდის რევკომმა ჩამოართვა კავშირს ბინა, სადაც მოთავსებული იყო ბიბლიოთეკა, სასადილო და სხვ. სხვა საკითხია კოოპერაციის მოღვაწეობაზე ცეკავშირის მიერ სახსასკომთან დადებულ ხელშეკრულებათა განხორციელების სფეროში კონტროლის წარმოება, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ იცოდე კონტროლის საქმე. ამხ. ლენინი თავის ბროშურაში სასურსათო გადასახადის შესახებ ამბობს—„შევეცადოთ ისე მივმართოთ კოოპერაციის მოქმედების გზა, ისე შევუწყოთ ხელი წვრილ წარმოებას, ისე განვავითაროთ ინიციატივა, ადგილობრივი თვითმოქმედება, რომ გაიზარდოს მიწათმოქმედებასა და წარმოებას შორის აღებ-მიცემობა და პროდუქტების ტრიალი. ჩვენ ამისი კეთება ჯერ კიდევ ძლიერ და ძლიერ სუსტად ვიცით“.

კონკრეტიულად ჩვენ წინ შემდეგი მიზანი სდგას—უნდა მოვაგროვოთ გადასახადი—ერთი მილიონი ფუთი პური, ცამეტი ათასი ფუთი მატყლი, ღვინო, კარტოფილი, ერბო და სხვ. ჩვენი ფულის კურსით ყველაფერი ეს რამოდენიმე ასეული მილიარდი მანეთი ღირს. ვინ შეგვისრულებს ამ მილიარდების საქმეებს, თუ არა იგივე კოოპერაცია. მაგრამ ეს კიდევ ძლიერ ცოტაა. ნატურალური გადასახადის მხრით ჩვენ უკეთეს შემთხვევაში ერთი მილიონი ფუთი პურის მოგროვებას ვაპირებთ. მაგრამ ჩვენი წლიური მოთხოვნილება ხომ სამ მილიონ ფუთს აღემატება. მაშ რა ვქნათ, საიდან ავიღოთ დანარჩენი ორი მილიონი ფუთი, ცხადია უნდა მოვახმაროთ ის საქონლები, რომლებსაც ჩვენ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება დაგვპირდა, გადავცვალოთ ისინი პურზე და ეს გავაკეთოთ კოოპერაციის საშუალებით. ამგვარად რა თვალსაზრისითაც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, ჩვენ მაშინვე დავინახავთ კოოპერაციისათვის დახმარებისა და ხელის შეწყობის საჭიროებას. ეს უნდა დავიხსომოთ. აგრეთვე ნათლად უნდა წარმოიდგინონ ეს ჩვენმა სასურსათო ორგანოებმა და სათანადოთ ამ დებულების მიხედვით უნდა მოაწესრიგონ ადგილობრივ თავისი ურთიერთობა კოოპერაციასთან.

ა. ერქომაიშვილი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საზოგადო მოღვაწეთა კომიტეტის ლიკვიდაცია.

მოსკოვი. 29 აგვისტო. (რადიო) სრულიად რუსეთის აღმასრულებელმა ცენტრალურმა კომიტეტმა დაშალა ორი თვის წინათ შემდგარი დამშეულთა დამხმარე კომიტეტი. ეს ფაქტი რუსეთში არ გამოიწვევს არავითარ სჯა-ბაასს, რადგანაც ამ კომიტეტს მოქმედება დღემდის თითქმის არ გამოუჩენია. საზღვარ-გარეთ კი საქმე სხვანაირად არის. კომიტეტის ლიკვიდაცია თხოულობს ახსნა-განმარტებას, რომელსაც ექნება მნიშვნელობა ჩვენი ბრძოლისთვის შიმშილთან. საბჭოთა მთავრობა ერთი წუთითაც არ დამალავს საშიშროებას, რადგანაც უნდა გამოიწვიოს ცხოვრებაში მასიური თვით მოქმედება მუშების და გლეხების, რომ მოიწვიოს გაძლიერებული მუშაობისთვის მთელი სახელმწიფო დაწესებულებები და მუშათა ორგანიზაციები.

მთავრობამ ასტეხა განგაში და მასთანვე ერთად უყოყმანოთ ნება დართო დამხმარე კომიტეტის შედგენისა რომელიც თავის უმრავლესობით შესდგებოდა ბურჟუაზიული და წვრილი ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლებისაგან. ფიქრობდა, რომ მათში ნახავდა ორგანიზაციულ ძალას. მთავრობამ იცოდა, რომ კომიტეტის შემადგენლობაში იმყოფებიან ელემენტები, რომლებსაც სურთ ითამაშონ პოლიტიკური როლი, მაგრამ ის იმედოვნებდა, რომ უმრავლესობა კომიტეტისა გამოიჩენს სინამდვილის შეგნებას და პოლიტიკანებს არ მისცემს ნებას დაიწყოს თამაში, რომელიც ჩააყენებს მათაც და შიმშილთან ბრძოლის საქმესაც საშიშ მდგომარეობაში. სამწუხაროთ, კომიტეტში იჩინა ერთმა ჯგუფმა თავი, რომელიც არაფერზე არ ფიქრობდა, გარდა იმისა, რომ ეთამაშა პოლიტიკური როლი და აღმოეჩინა დახმარება თეთრგვარდიელ ხროვისთვის რომელიც ამ კომიტეტის შექმნაში ხედავდა მხოლოთ ჩვენი სისუსტის საბუთს თვით კომიტეტში კი—ბურჟუაზიულ ხელის-უფალთა აღორძინებას.

რადგანაც პირველთაგანვე სურდათ ეთამაშნათ პოლიტიკური როლი და ანგარიში გაეწიათ საზღვარ-გარეთელი მთავრობებისათვის, რომლების შესახებ სიამოვნებით აღნიშნავდა ქალბატონი კუსკოვა „დახმარების“ მე 2 №-ში. საზღვარ-გარეთელებს აქვთ შორს მჭვრეტელი თვალები და მახვილი ყურები“.

მეორე არგუმენტი დელეგაციის გამგზავრების წინააღმდეგ იყო ის ფაქტი, რომ დახმარების კომიტეტმა არ გააფართოვა თავისი მოქმედება და მხოლოდ პოლიტიკა ართმევდა მთელ დროს. მთავრობამ მისცა წინადადება კომიტეტს გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები დამშეულ გუბერნიებში იმისთვის, რომ დაეჩქარებინათ ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც უნდა დამთავრებულიყო იმ დროისათვის, როცა საზღვარგარეთელი მისია ჩამოვიდოდა და მიიღებდა დახმარების საქმეში მონაწილეობას, ახალი მოსავლის პურის განაწილებაში.

ამით იყო დამტკიცებული, რომ საბჭოთა მთავრობას სურდა დაუყოვნებლივ ჩაება დახმარების საქმეში ყველა, ვინც ნამდვილათ მიისწრაფოდა დახმარებას. მაგრამ საქმიანი მუშაობის მაგივრად, დამხმარე კომიტეტის პოლიტიკანებმა დაიწყეს ორგანიზაციული ბრძოლა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, სარგებლობდნენ რა ლეგალური შეკრების საშუალებით

კონფლიქტი მოხდა საზღვარგარეთ კომიტეტის დელეგაციის გაგზავნის საკითხში. მთავრობა თანახმა იყო კომიტეტის დელეგაციის გაგზავნის, მაგრამ დელეგაციის გაგზავნის მომენტის ამორჩევა დამოკიდებული იყო საერთაშორისო მდგომარეობაზე და კომიტეტის ადგილობრივ რუსეთში მუშაობაზე. საზღვარგარეთელ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებას აწარმოებს მთავრობა და არა კომიტეტი. ცხადი იყო, რომ, რადგანაც მოკავშირეთა საბჭოს კიდევ არ მიეღო კონკრეტიულ გადაწყვეტილებამდის რუსეთის დახმარების აღმოჩენის საქმეში, მაშასადამე, საჭირო იყო მოლაპარაკება, რომელიც უნდა გაეტარებია თვით საბჭოთა მთავრობას. საჭირო არ იყო მესამესი ჩარევა, რომ საქმეში არ შეეტანა არევ-დარევა და ამით არ გაერთულებინა და შეეფერხებინა დახმარების საქმე, მაგრამ ბატონ პოლიტიკანებმა ამის გაგება არ მოისურვეს, ბატონმა პროკოპოვიჩმა მოიყვანა მონარქისტები. ამასთანავე ერთად ბატონებმა დაიწყეს კავშირის გაბმა სხვადასხვა საზღვარგარეთელ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან იმ მიზნით, რომ მათი საშუალებით წაეყენონ პოლიტიკური პირობები საბჭოთა მთავრობას და შეეცადენ საზღვარ-გარეთელებთან დადებული პირობით გამაგრებიათ დამხმარე კომიტეტის უფლებები. თამაში შეწყვეტილია, რადგანაც ვინც იფიქრებს სარგებლობას მასიური ხალხის შიმშილით, რომ გამოუთხაროს ძირი საბჭოთა მთავრობას, იქნება თვითონ აფეთქებული. საზღვარ-გარეთელი ბურჟუაზიისათვის ეს ისტორია იქნება ჭკუის მასწავლებელი. საზღვარ გარეთელ კაპიტალისტების ფილანტროპია — ეს ნივთია, რომლისათვის ისინი [illegible] თავის ჯიბეს [illegible] და კარგათაც გადაუხადონ. სოფლის „კულაკი“ რომელიც პურს აძლევდა გლეხს შიმშილის დროს მოითხოვდა მოგებას. საბჭოთა მთავრობა მოთმინებით უგდებდა ყურს ფილანტროპიულ სიტყვებს, და მოთმინებით ელოდა, რომ ბატონი ფილანტროპები მოითხოვენ თავისი კეთილი გრძნობისათვის დამშეულთა დახმარებისა და ორთქლმავლის მოტანის შორის არ არის არავითარი განსხვავება. რომ ზოგიერთ ვაჭრებს მანქანების შემოტანისთვის სამაგიეროდ მოეთხოვა არა ხე ტყე და მთის მადნეულობა, არამედ კონტროლი საბჭოთა მთავრობაზე მაშინ მას [illegible]. ეს ძალიან კარგათ იციოდნენ მათ და ამ სახის მოთხოვნილების წარმოდგენას ვერც გაბედავდნენ. დღე, გაბედონ და შესთავაზონ პურის ნაცვლად ინტერვენციით [illegible] გაძარცვულ და დამშეულ გლეხებს. ამას ისინი ვერ გაბედავენ და თუ გაბედეს, ჩამოიხადეს ნიღაბი და აშკარად განაცხადეს, რომ თქვენ დამშეული ხართ და უდვილს დაგეხმარებით, მაშინ ეს გამოიწვევს განხეთქილებას, აღელვებას მუშათა წრეებში, რომელთაც მხარს დაუჭერენ ყველა ისინი, ვინც ჯერ კიდევ ვერ შეჩვევიან დამშეულთა ტყავის გაძრობას. რადგანაც საქმე ასე სდგას, დღეს, ვეჭვობთ ბატონო ფილანტროპების ოცნების შესახებ და სხვაზე კი ზედმეტათ მიგვაჩნია თქვენთან ლაპარაკი.

ცირკულიარი უფლებების აღდგენის შესახებ.

მოსკოვი. 2 აგვისტო. (რადიო) ცირკულიარი ყველა საგუბერნიო აღმას. კომიტეტებს. სრულიად რუსეთის ც. კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელი დადგენილებაც გამოცემული არის 1921 წ. 7 ივლისის თარიღით სამოქალაქო უფლებათა აღდგენის წესის შესახებ იმ პირებზე რომელთაც ჩამოერთვა ეს უფლებანი რუს. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის მიხედვით თუ სხვა ადგილობრივი ცენტრ. მთავრობის კერძო დადგენილებით, სრულიად რუსეთის ცენტ. კომიტეტი მიაქცევს ყურადღებას საგუბერნიო აღმას. კომიტეტის იმ გარემოებაზე, რომ უფლებების აღდგენის განხილვის დროს (დამახინჯებულია) საჭირო არის დაცული იქმნეს მაქსიმალური სიფრთხილე და წინდახედულობა, ვინაიდან, თვითეული შეცდომა ამ შემთხვევაში სახელს გაუტეხს საბჭოთა მთავრობას მშრომელთა ფართო მასების თვალში, ამისგამო საბჭოთა მთავრობის ცოტათ თუ ბევრად პასუხსაგებელ მუშაობაზე შეიძლება დაშვებულ იქმნან მარტო ის, მეფის რეჟიმის დროის პოლიციაში მოსამსახურენი, რომელთა შესახებაც რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს უკვე გამოტანილი აქვს დადგენილება ამ პირთათვის უფლების დაბრუნების შესახებ.

ასეთ დადგენილების მიღების შემდეგ წარსული ამა თუ იმ პიროვნებისა უნდა დავიწყებული იქმნას და საბჭოთა მუშაობის აღსრულების დროს მათი უფლებანი შეზღუდული არ უნდა იყოს.

ამავე დროს საჭიროა სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება ეუწყოს აღნიშნულ რაიონების მშრომელთა მასას.

სრულიად რუს. აღ. კომიტ. თავმჯდომარე კალინინი, მდივანი ენუქიძე.

რკინის გზის მასალები.

პეტროგრადი. 1 სექ. (რადიო). 29 აგვისტოს გერმანიიდან ჩამოვიდა [illegible] „ანგარა“ რკინის გზის მასალებით სულ 1,934 ფუთი.

გამოფენა საზღვარ-გარეთ.

პეტროგრადი. პროლეტკულტის ხელოვნების განყოფილებას აზრათ აქვს მოაწყოს საზღვარგარეთ ვაჭრობის დახმარებით გამოფენა პროლეტარულ შემოქმედებისა.

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მეცხრე (29 ივნისი)

(გაგრძელება, იხ. „კომ.“ № 150)

რეზოლიუცია აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ

კონგრესი კმაყოფილებით ღებულობს აღმასკომის ანგარიშს და აღნიშნავს, რომ აღმასკომის პოლიტიკა და მოღვაწეობა მიმდინარე წლის მიმართული იყო მეორე კონგრესის დადგენილებათა გატარებისაკენ. კონგრესი განსაკუთრებით იწონებს მეორე კონგრესის მიერ წამოყენებულ 21 პირობის გატარებას ცხოვრებაში და სხვა ქვეყნებში და იწონებს აგრეთვე აღმასკომის მოღვაწეობას, რომელიც მიმართული იყო მასიურ კომუნისტურ პარტიების დაარსებისა და იმ ოპორტუნისტულ ტენდენციებთან შეუპოვარი ბრძოლისაკენ, რომელიც გამოიჩინდა ამ პარტიებში.

1. იტალიაში სერატის პოზიციამ პირდაპირ მეორე მსოფლიო კონგრესის შემდეგ დაგვანახა, რომ ის არ ღებულობდა სერიოზულათ არც მსოფლიო კონგრესისა და ისიც კომინტერნის დადგენილებებს. განსაკუთრებით კი მის პარტიის როლმა სექტემბრის ბრძოლების დროს, მისმა პოზიციამ ლივორნოში და, კიდევ მეტი, მისმა პოლიტიკამ ამის შემდეგ ნათლად დაამტკიცა, რომ მას და მისი პარტიის წევრებს სურთ გამოიყენონ კომუნიზმი მხოლოდ როგორც ვივესკა (აბრი) თავისი ოპორტუნისტული პოლიტიკისთვის. ასეთ პირობებში რასკოლი აუცილებელი იყო. კონგრესი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ აღმასკომმა ამ შემთხვევაში, რომელსაც აქვს პრინციპიალური მნიშვნელობა, გამოიჩინა მტკიცეთ და გადაჭრით კონგრესი იწონებს აღმასკომის დადგენილებას, რომელმაც მაშინ დაუყოვნებლივ იცნო იტალიის კომუნისტური პარტია ამ ქვეყნის კომუნისტურ სექციათ.

იმის შემდეგ, რაც კომუნისტებმა დატოვეს ლივორნოს კონგრესი, უკანასკნელმა მიიღო ბენტივოლიოს მიერ შეტანილი შემდეგი რეზოლიუცია:

„ადასტურებს რა კიდევ ერთხელ თავის შეერთებას მესამე ინტერნაციონალთან იტალიის სოციალისტური პარტიის კონგრესი აძლევს კონფლიქტს ინტერნაციონალის კონგრესის გასარჩევათ, და ამასთანავე ის წინდაწინ ივალდებულებს თავის აღიაროს და ცხოვრებაში გაატაროს მისი გადაწყვეტილებები“.

კომინტერნის მესამე კონგრესი დარწმუნებულია, რომ სერატის მეთაურობით ბელადების ჯგუფის ეს დადგენილება მიღებულ იქმნა რევოლიუციონურ მუშების ზეგავლენით; კონგრესი მოელის, რომ მუშათა კლასის ეს რევოლიუციონური ელემენტები მესამე მსოფლიო კონგრესის დადგენილების შემდეგ მთელ ძალ-ღონეს იხმარენ, რათა გაატარონ ფაქტიურათ ცხოვრებაში ეს დადგენილებანი.

მე 3 მსოფლიო კონგრესი ლივორნოს კონგრესს მისდამი აპელაციაზე საპასუხოთ ულტიმატიურათ აცხადებს:

მანამ, სანამ იტალიის სოციალისტურ პარტიას არ გამოურიცხავს თავის წრიდან რეჯიო ემილიოს რეფორმისტული კონფერენციის მონაწილენი და ისინი, ვინც მათ მხარს უჭერს იტალიის სოციალისტურ პარტიას არ შეუძლია იყოს კომინტერნში.

თუ შესრულებულ იქნება ეს წინასწარი ულტიმატური მოთხოვნა, მე 3 მსოფლიო კონგრესი ავალებს აღმასკომს გადადგას აუცილებელი ნაბიჯები რეფორმისტულ და ცენტრისტულ ელემენტებისაგან გაწმენდილ იტალიის სოციალისტურ პარტიის გაერთიანებისათვის იტალიის კომუნისტურ პარტიასთან და მათ გადასაქცევად კომინტერნის ერთიან სექციათ.

2) გერმანიაში დამოუკიდებელ სოციალისტური პარტიის ყრილობა ჰალეში მე 2 კონგრესის დადგენილებათა შედეგი იყო; ხოლო ეს დადგენილებანი კი, თავის რიგზე, ჯამს უკეთებენ მუშათა მოძრაობის განვითარებას. აღმასკომის პოზიცია მიმართული იყო ძლიერი კომუნისტური პარტიის დაარსებისაკენ გერმანიაში და გამოცდილებამაც დაგვანახა, რომ მისი პოლიტიკა იყო სწორი. კონგრესი აგრეთვე სავსებით იწონებს აღმასკომის პოზიციას გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიაში შემდეგ მომხდარ ამბების მიმართ. კონგრესი გამოსთქვამს იმედს, რომ აღმასკომი შემდეგშიაც იმოქმედებს ისევე, როგორც საერთაშორისო რევოლიუციონურ დისციპლინის პრინციპის ამ პირველ გატარების დროს.

3) ლევის და გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიას, როგორც თანამგრძნობ პარტიას, კომინტერნს მიზნათ ქონდა გამოეცადა, წავიდოდა თუ არა გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის განვითარება კომინტერნის მიმართულებით. ეს გამოცდა უკვე საკმარისია. ახლა უნდა მოვთხოვოთ გერმ. კომ. მუშ. პარტიას შეუერთდეს განსაზღვრულ ვადაში გერმ. გაერთ. კომ. პარტიას, ან და გამორიცხულ იქნეს ის კომინტერნიდან, როგორც თანამგრძნობი პარტიაც.

კონგრესი ესალმება იმ წესს, რომლითაც გაავრცელა აღმასკომმა 21 პირობა საფრანგეთის პარტიაზე, ანთავისუფლებდა რა ფართო მასებს, რომლებიც იმყოფებიან გზაზე კომუნიზმისაკენ, ლონგისტურ ოპორტუნისტების გავლენისაგან და აჩქარებდა რა მათ განვითარებას. კონგრესი მოელის აღმასკომისაგან, რომ ის მომავალშიაც ხელს შეუწყობს საფრანგეთის პარტიის განვითარებას მებრძოლ პარტიათ ნათლად გამომუშავებულ პრინციპებით.

4) ჩეხო-სლოვაკიაში აღმასკომი მოთმინებით და ფრთხილად ადევნებდა თვალყურს იმ პროლეტარიატის რევოლიუციონურ განვითარების ყველა გარემოებებს, რომელმაც უკვე დაამტკიცა თავისი ნება-სურვილი ბრძოლისა; კონგრესი აწონებს აღმასკომის რეზოლიუციას ჩეხიის კომუნისტური პარტიის მიღების შესახებ.

კონგრესი მოელის აღმასკომისაგან, რომ ის შეძლებს სისწორით გაატაროს 21 პირობა ჩეხიის კომუნისტურ პარტიაში და ეცდება, რომ რაც შეიძლება, მალე დაარსდეს ჩეხო-სლოვაკიის ყველა ნაციების მუშათა ერთიანი კომპარტია, მუშათა პარტია ნათელი კომუნისტური პროგრამით და მტკიცე კომუნისტური ხელმძღვანელობით ცენტრალისტურ საფუძველზე; კონგრესს იმედი აქვს, რომ სწრაფათ და სისტემატიურათ დაპყრობილი და გაერთიანებული იქნება ჩეხო-სლოვაკიის პროფკავშირები.

დაბოლოს კონგრესი გადაჭრით უკუაგდებს კომუნიზმის აშკარა და ფარულ მოწინააღმდეგეთა შემოტევას კომუნისტურ მოძრაობის მტკიცე საერთაშორისო ცენტრალიზაციის წინააღმდეგ. პირიქით ის გამოსთქვამს რწმენას, რომ ყველა პარტიები გაგზავნიან საუკეთესო ძალებს აღმასკომში, და მით შეიგნებენ განუყრელ კავშირში მტკიცეთ შედუღებულ კომუნისტურ პარტიებს კიდევ უფრო მეტ საბრძოლველ პოლიტიკურ ხელმძღვანელობის აუცილებლობას. ასეთი ხელმძღვანელობის უქონლობა გამოაშკარავდა, მაგალითად, უმუშევრობისა და ანაზღაურების საკითხებში, რომელშიაც აღმასკომი არა საკმარისათ სწრაფათ და გადაჭრით ჩაერია. კონგრესს იმედი აქვს, რომ აღმასკომში კომინტერნის მომხრე პარტიების გაძლიერებულ მოქმედებით მოაწყობს კავშირის უკეთეს აპარატს, რომ პარტიების გაძლიერებული თანამშრომლობა აღმასკომში საშუალებას მისცემს კიდევ უფრო მეტად, ვიდრე აქამდის შეასრულოს მის წინაშე დასმული ყველა უფრო ძნელი ამოცანები.

ტერაჩინი (იტალია), კოლაროვი (ბულგარეთი), ვოლსკი (პოლონეთი), ტალჰაიმერი და ფრელიხი (გერმანია), შეფლო (ნორვეგია), კრეიბიხი (ჩეხო-სლოვაკიის გერმანული განყოფილება), ხანტო (ჰუნგრეთი), ფრეი (ავსტრია), როზა გრიმი (შვეიცარია), ბადულესკუ (რუმინეთი), გ. მიუნცენბერგი (ახალგაზრდობის ინტერნაციონალი).

ამხ. ლორიო საფრანგეთის დელეგაციის სახელით აცხადებს, რომ უკანასკნელმა არ მოაწერა ხელი რეზოლიუციის პროექტს, ვინაიდან გერმანიის საკითხი, რომელიც იყოფა ორ ნაწილათ,—მარტის ამბები და გერ. კომ. მუშ. პარ. არ შეიძლება გარჩეულ იქნეს, როგორც ერთიანი რამე, ისე, როგორც გავარჩიეთ ჩვენ იტალიის საკითხი. საფრანგეთის დელეგაცია ფიქრობს, რომ მარტის ამბებზე სპეციალური მსჯელობა უნდა იქნეს განსაკუთრებულ კომისიაში, სწორეთ ისევე აუცილებელია გაარჩიონ დელეგატებმა საკითხი გ. კ. მ. პ. და გერ. გაერ. კომ. პარ. შორის ურთიერთ დამოკიდებულების მოწესრიგების ფორმებზე. ამიტომ ჩვენ წინადადებას ვიძლევით კამათი შევწყვიტოთ, მაგრამ კენჭის ყრა გადავდოთ დასახელებულ კომისიის მუშაობის დამთავრებამდე.

გ. კ. მ. პ. წარმომადგენელი მხარს უჭერს საერთოდ ფრანგების წინადადებას. ის წინადადებას იძლევა კენჭი უყარონ რეზოლიუციას ნაწილ ნაწილათ და თავის რედაქციას უკეთებს იმ მუხლს, რომელიც ეხება გ. კ. მ. პ. დამოკიდებულებას.

რადეკი და ზინოვიევი ენერგიულად ილაშქრებენ ფრანგების წინადადების წინააღმდეგ.

როლანდ ჰოლსტი ჰოლანდიის დელეგაციის უმცირესობის სახელით მხარს უჭერს გ. კ. მ. პ. და მოუწოდებს კონგრესს იცნოს ის, რითაც იწვევს ამხ. რადეკის რეპლიკის „დაჩაგრულ უცოდველობაზე“ გ. კ. მ. პ. სახით და ვადას კიდევ სამი თვით ზედმეტ გაგრძელების შესახებ. გ. გაერ. კომ. პარტიიდან ოპოზიციის [illegible] იწვევს მკაცრ გამოსვლას ამხ. რადეკის მხრივ, რომელიც სავსებით და აშკარათ ნათელყოფს, რომ ლევი რენეგატია, რომ ადამიანი, რომელმაც ისროლა ყუმბარა მუშათა მოძრაობაში, როდესაც 7.000 რევოლიუციონური მუშა ზის ციხეებში, არ შეიძლება ეკუთვნოდეს კომინტერნს და მასზე ზედმეტია ლაპარაკი. საფრანგეთის დელეგაცია ითხოვს სხდომის ათი წუთით შეწყვეტას.

შემდეგ ამხ. ლორიო საფრანგეთის დელეგაციის სახელით აცხადებს, რომ უკანასკნელს მიაქვს თავისი განცხადება უკან და ხმას მისცემს ზემოთ მოყვანილ რეზოლიუციას, მასთან პროტესტს აცხადებს საფრანგეთის დელეგაციისთვის ბრალის დადების წინააღმდეგ აღმასკომისადმი უნდობლობაში.

შემდეგ გამოდის ამხ. ზინოვიევი, რომელიც ამბობს თავის საბოლოო სიტყვას ძალიან მოკლეთ ავადმყოფობის გამო.

ამხ. ზინოვიევი ნანობს, რომ ბოლოს და ბოლოს ძალიან ცოტას აკრიტიკებდნენ კომინტერნის აღმასკომს. რაც შეეხება იტალიას, მას არაფერი არ აქვს დასამატები. ეს საკითხი საკმარისათ ამოწურულია ამხ. ლენინის, ჯენარის, რაკოვსკის, ცეტკინის და სხვა ორატორების სიტყვებით. ის კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამხ. ცეტკინი იტალიის საკითხში, თავის სიტყვაში მაინც, ფაქტიურად ეთანხმება აღმასკომს. შემდეგ ამხ. ზინოვიევი მოიყვანს ციტატა კურტ გეიერის სტატიიდან, რომელიც მოთავსებულია ლევის ორგანოში „სვეტში“, სადაც ნათქვამია, რომ მარცხი, რომელიც ნახეს კომუნისტებმა არჩევნებზე იტალიაში, არის კომინტერნის აღმასკომის მარცხი. ეს არაა სწორი. ახალგაზრდა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც გარშემორტყმული იყო მტრებით, მიიღო 16 მანდატი. ეს კიდევ არ ნიშნავს მარცხს. მაგრამ კიდევაც რომ განეცადა მარცხი, ეს კიდევ არ ნიშნავს აღმასკომის მარცხს. ცეტკინა თავის სიტყვაში აღნიშნავდა, რომ იტალიის საკითხში, რომელიც ეხებოდა მისი გამოსვლის საბაბს, მას არ ქონებია ინსტრუქციები აღმასკომისაგან, მაგრამ შეეძლო მას გაეფრთხილებინა აღმასკომი წერილით, ის იყო აქ, მოსკოვში. ეს ამტკიცებს იმას, რომ ის არაა სწორი. გ. კ. მ. პ. წარმომადგენლებმა თქვეს, რომ მათთვის არაა ადვილი დაეთანხმონ კომინტერნის წინადადებას გ. გაერ. კომ. პარტიასთან შეერთების შესახებ. ჩვენთვისაც არაა ადვილი. ჩვენ არ გვსურს დავაძალოთ ისინი, მაგრამ არ შეგვიძლიან დავარღვიოთ ჩვენი პროგრამა.

ჩვენ ვუცდით აქამდის, კიდევ შეგვიძლიან დავიცადოთ სამი თვე. მაგრამ ამის შემდეგ მათ გადაჭრით უნდა სთქვან თუ რა სურთ.

ამხ. მარკოვიჩმა, იუგო—სლავიის პარტიის წარმომადგენელმა ჩემს მტკიცებაზე რომ მის პარტიაში არის ცენტრისტული ტენდენციები, არაფერი არ თქვა. ამის საწინააღმდეგოთ მე უნდა ვუპასუხო მას, რომ იმ თათბირზე, რომელიც მქონდა მე იუგო სლავიის დელეგატებთან მათი ჩამოსვლის შემდეგ, ისინი არ იყვნენ კომინტერნის თვალსაზრისის თანახმა იტალიისა და გერმანიის საკითხებში.

ამხ. ცეტკინმა თქვა,—განაგრძობს ამხ. ზინოვიევი,—რომ არაა მოხდენილათ დანიშნეს წარმომადგენლები საზღვარგარეთ და რომ ისინი უპასუხისმგებლოთ მოქცეულნი. მე უნდა ვთქვა, რომ იმათ ყველაფერი ქნეს, რაც კი რამ შეეძლოთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს, როდესაც სერატი უწოდებდა ჩვენს წარმომადგენლებს კარდინალებს, ლევი კი—თურქესტანის წარმომადგენლებს, ამხ. ცეტკინას მაინც არ უნდა ეწოდებინა მათი მოქმედებისათვის უპასუხისმგებლო, ვინაიდან მათი მოქმედებისათვის პასუხს აგებს აღმასკომი. ჩვენ ვთხოვთ სხვა პარტიებს მოგვცენ ჩვენ ყველაზე უფრო საქმიანური და გამოცდილი ამხანაგები აღმასკომში სამუშაოთ და ცალკე ქვეყნებში დასაგზავნათ.

ჩვენ ახლა გადავდივართ რეზოლიუციის კენჭის ყრაზე, მაგრამ კერძო საკითხებს, ლევის გამორიცხვისა და გ. გაერ. კომუნისტურ პარტიის ოპოზიციის ჯგუფის შესახებ კენჭს უყრით ჩვენ ფაქტიურ განხილვის შემდეგ მარტის გამოსვლებთან დაკავშირებით. მაგრამ გერმანიის ოპოზიციას უნდა ვუთხრა მე, რომ საჭიროა ეხლავე წინ და არა უკან. ლევი შეიძლება მათი მეგობარი იყოს, მაგრამ მაინც, რომ პროლეტარიატის ინტერესები და კომინტერნი უფრო მეტი მეგობარი ყოფილიყო, ვიდრე ლევი (ტაში).

შემდეგ კონგრესი გადადის ზემოთ მოყვანილი რეზოლიუციის კენჭისყრაზე ცალკე უყრიან კენჭს მუხლებს იტალიის, გერმანიისა და გ. კ. მ. პ. საკითხების შესახებ. მათ ერთხმად ღებულობენ; თავს იკავებს მხოლოდ ერთი გ. კ. მ. პ. საკითხის შესახებ.

შემდეგ შემოდის წინადადება, რომელიც [illegible] წარმოებას და რომელიც აუცილებელ საჭიროდ სთვლის იქ აგრეთვე ორგანიზაციულ მუშაობასაც. ამასაც ღებულობენ.

რეზოლიუციის მთლიანათ კენჭის ყრის დროს ერთხმად ღებულობენ მას მქუხარე ტაშით და „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

სხდომა იხურება საღამოს 8 ნახ. ს.

ბრძოლა სიმშილობასთან

ფოსტით ამანათის გაგზავნა დამშეულთათვის

მოსკოვი. 30 აგვ. (რადიო). დამშეულთა დახმარების ცენტრალურმა კომისიამ გადაწყვიტა დაიწყოს შეუფერხებელი მიღება ფოსტაში ამანათის წონით არა უმეტეს 1 ფუთისა დამშეულ ადგილებში სურსათო გადასახადის მიღებლათ იმ დაწესებულებების მისამართით, რომლებიც ეწევიან სიმშილთან ბრძოლას. ნება დართულია აგრეთვე დამშეულ ადგილებში კერძო პირების სახელზე ამანათის გაგზავნა წონით არა უმეტეს ნახევარი ფუთისა, თვეში არა უმეტეს ნახევარი ფუთისა. სრული ფასით ნება დართულია განუსაზღვრელ რაოდენობის ამანათის მიღება წონით არა უმეტეს 20 გირვანქის.

სურსათი [illegible] დამშეულებს.

მოსკოვი. 30 აგვ. (რადიო). ცენტრალურ კომისიის სხდომაზე დამშეულ-

გუბერნიათათვის დატვირთული თესლი 3 ნ.ხ. მილიონი) ფუთ. ივანოვო-ვოზნესენსკსთან, რიაზანსკის, სმოლენსკისა, ორლოვისა, ვოლოგდისა და ჩრდილოდვინის გუბერნიებმა სრულიად შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა ამავე სხდომაზე კომისიამ მოისმინა დაწვრილებითი მოხსენება მუშათა ძალის გადაჯგუფების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ განზრახულია თურქესტანში 200.000 მუშა ძალის გაგზავნა. სხვადასხვა დაწესებულების მხრიდან შემოსულია მუშა ხელზე მოთხოვნილება 100.000 კაცის. ამ მოთხოვნილებას სასწრაფოდ აკმაყოფილებენ.

სრ. რ. ც. აღ. კ. ცენტრალურმა კომისიამ გადასწყვიტა შეეერთონ ნაწილი მოსავლიან გუბერნიებისა დამშეულ გუბერნიებს ყოველმხრივი დახმარების აღმოსაჩენად როგორც მატერიალურისა, აგრეთვე ორგანიზაციულისა. (კავროსტა).

ხელოვნების მუშაკნი დამშეულების დასახმარებლად

მოსკოვი. 30 აგვ. (რადიო). სრულიად რუსეთის ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრ. კომისიამ დაადგინა: წინადადება მისცეს საგუბერნიო და სამაზრო ხელოვნების მუშაკთა კავშირებს შემდეგში გამართონ წარმოდგენები, კონცერტები და სხვა სანახაობანი უფასოდ დამშეულთა დასახმარებლად სრულიად რუსეთის ხელოვნების მუშაკთა კავშირის დროშის ქვეშ. კავშირის წევრთა უფასო მონაწილეობით თვეში არა ნაკლებ ერთჯერ უფასოდ. ამის გარდა ხელოვნების ყველა მუშაკნი ვალდებულნი არიან გაიღონ 3 პროც. საჩუქრისა და 5 პროც. ერთდროული გამოსავლისა. დახმარების ყველა ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ ფასით არ მოიწვიონ გამართულ წარმოდგენებში ხელოვნების მუშაკნი, რომლებიც პროფესიონალურ დისციპლინის დარღვევის მიზნით უარს განაცხადებენ საკუთარ შემოსავლიდან გადებაზე ან და უფასო მონაწილეობაზე კონცერტებსა ან წარმოდგენებში, რომლებსაც გამართავს ხელოვნების მუშათა კავშირი მოუსავლობისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

ლენინურ სანახაობების მოწყობის მიზნით სხვადასხვა დაწესებულებების მიერ, საჭიროდაა ცნობილი, რათა ნებართვა ეძლეოდეს განსაკუთრებულ სამეულის მიერ შემადგენლობით ხელოვნების კავშირის კომპარტიის, პოლიტიკურ განათლების სამმართველოს წარმომადგენლებისა და დამშეულთა დამხმარე მხარის ორგანიზაციათა სრული უფლებიან წარმომადგენელთა მონაწილეობით. (კავრ.).

მიმართვა გორკისა საფრანგეთის მუშებისადმი.

პეტროგრადი. 20 აგვ. (დეპეშით) მაქსიმ გორკი საფრანგეთის მუშებისადმი მიმართვაში ამბობს, რომ სწორედ ფრანგებმა, რომლებმაც ყველაზე უწინ ლამობდენ სოციალურ რევოლუციის განხორციელებას, უნდა შეიგნონ საჭიროება რუსის ხალხისადმი დახმარებისა, ამ გაჭირვებულ დღეებში.

სხდომაზე, რომელიც იყო შემდგარი რუსეთისადმი დახმარების შესახებ, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ ბრიანმა გადაწყვეტით განაცხადა საჭიროება, დამშეულ რუსეთისადმი დახმარების გაწევისა. ამავე სხდომაზე იტალიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რუსეთისადმი დახმარება—ეს ანტანტის ვალია და შეეფერება ანტანტის საკუთარ ინტერესებსაც. დასასრულ გადაწყვეტილია სასწრაფოდ, პრაქტიკულად ხელი მოკიდონ რუსეთისადმი დახმარების განხორციელებას.

დახმარების საერთაშორისო კომიტეტი.

ბერლინი 20 აგვის. გერმანიის პრესის ცნობებით, უმაღლეს საბჭოს დადგენილების თანახმად 14 აგვისტოს მოეწყო დახმარების საერთაშორისო კომიტეტი. ლოიდ-ჯორჯი დათანხმდა იმაზე, რომ კომიტეტის ბინა იყოს პარიზში. მაინც, შესაძლებელია, რომ კომიტეტის მუშაობას დაწყება დაგვიანდეს განხეთქილების გამო ინგლისის და იტალიის ერთი მხრით და საფრანგეთისა—მეორე მხრით, შესახებ მომავალი ურთიერთობის ხასიათისა საბჭოთა ხელისუფლებასთან და საპირო გარანტიებისა.

გერმანიის დახმარება.

ბერლინი, 20 აგვისტო. გერმანიის წითელი ჯვრის ექსპედიციის მეთაურათ, ეპიდემიასთან საბრძოლველათ რუსეთში დანიშნულია ცნობილი გამბურგის პროფესორი მულლენი.

რუსეთ-პოლონეთის საზღვარი

მოსკოვი. 19 აგვ. რუსეთ უკრაინისა, ბელორუსიის და პოლონეთის შემთანხმებელმა შერეულმა კომისიებმა დაადგინეს, აღნიშნონ რუსეთ პოლონეთის საზღვარი დროებითი ბოძების დადგმით, საზღვრის ხაზის შეწყვეტის ადგილებში, რათა საჩქაროთ იქმნეს აღდგენილი რკინის გზით მიმოსვლა რუსეთსა და პოლონეთ შორის. კომისია არის შემდგარი სამი: პოლოცკ-ვილენსკისა, პოლესკისა და მინსკ-პესტინსკისა. კომისიები აგროვებენ: ისტორიულ ფულს, სტატისტიკურ და ეკონომიურ მასალებს, რომელნიც საჭირონი არიან საზღვრების შესახებ დავის გადაჭრაში.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ანგორის ცნობა.

ბათომი. 1 სექ. (ტელეგრამით). ოსმალთა გაზეთების ცნობით ოსმალთა რაზმები მოულოდნელად თავს დაესხენ ბერძენთა მარცხენა ფლანგს საქარიასთან და გაფანტა იგი.

— გენერ. მუხედინ-ფაშამ მიიღო ქემალის ბრძანება ეწინააღმდეგოს ბერძენთა დესანტს.

ინგლისი

გემი „ლენინი“

მოსკოვი. 21 აგვისტო. 3 აგვისტოს ლონდონში მოხდა სადღესასწაულო ცერემონია ყინულის მჭრელის გემის „ალექსანდრა“ ს სახელის გარდარქმევისა, ნაყიდის დროებითი მთავრობის მიერ და გადაცემულის საბჭოთა მთავრობისადმი [illegible]. ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ გემს ეწოდა სახელი „ლენინი“. ეს გემი ჩარიცხულია რუსეთის ფლოტის შემადგენლობაში. „ლენინი“ შეასრულებს ექსპედიციას კარსკში.

რამოდენიმე დაგვიანება „ლენინისა“ ლონდონში მოხდა იმ მიზეზით, რომ ქაღალდები არ არის მიღებული სადმირალოდან, რომელთაც [illegible] გემის ფორმალურათ გადაცემის საქმესთან. ლონდონის პრესა დაწვრილებით აღნიშნავს დღესასწაულს, გემის გადაცემისა და სახელის გარდარქმევისას.

უარალო ბულგარეთი

პეტროგრადი. საერთაშორისო კომისიამ წინადადება მისცა ბულგარეთს, გაუშვას ჯარი ორი თვის განმავლობაში და მის მაგივრად შექმნას მილიცია. ბულგარეთის ცდა მოხალისეთა არმიის შესამქნელად წარმატებით არ დამთავრდა. ბულგარეთს მოელის შეუიარაღებლად დარჩენა.

პოლონეთი

მუშათა დევნა.

ვარშავა. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაიხურა გაზეთი „რაბოჩაია მისლი“. რედაქციის ბინა დაბეჭდილია.

ავსტრია

მონარქისტული გაზეთი ვენაში.

ვენა. სექტემბრიდან ვენაში გამოვა რუს მონარქისტთა გაზეთი „სამშობლო“. რედაქტორად არის ყოფილი მეფის მინისტრის შჩეგლოვიტოვის ძმა. გამომცემლად ოპერის მსახიობი ქალი შავალოვისა.

ქ რ ო ნ ი კ ა

◆ **ბორჯომის ქონება.** ბორჯომის მთელი წარმოება და წყლები გადაეცა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, ხოლო ტყეები და სანატორიუმები კი ჯანმრთელობის კომისარიატს.

◆ **ქართული თეატრი ბაქოში.** ხელოვნების მთავარმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, რომ საქართველოს მისიამ აზერბაიჯანში აიყვანოს თავის მფარველობის ქვეშ ქართული თეატრი. ქართული თეატრის კომისრათ ბაქოში დანიშნა ამხ. გ. ნ. მატარაძე.

— **სახალხო მეურნეობის საბჭოს 1 ლი ყრილობა.** სექტემბრის 20 იწვევენ სახ. მეურნ. საბჭოს კონფერენციას, რომელსაც დაესწრებიან აგრეთვე სამაზრო პროფბიუროების თითო წარმომადგენელი. დღის წესრიგისათვის განზრახულია შემდეგი საკითხები: 1) ს. მ. უ. ს. მოქმედება—ამხ. ავაქოვის მოხსენება, 2) ეკონომიური პოლიტიკა—მ. ტოროშელიძის მოხსენება, 3) საორგანიზაციო საკითხები, ამხ. ვირაპი, 4) ს. მ. უ. ს. ახლომდელი საუწყებათო სამუშაო—მ. ტოროშელიძე, 5) წარმოებათა მომარაგების საკითხი—ამხ. კიკნაძე, 6) ფინანსების შესახებ—ავაქოვი, 7) მიმდინარე საკითხები. ამავე დროს კონფერენციაზე მოისმენენ ადგილობრივ სამაზრო ეკონომიურ განყოფილებათა მოხსენებებს.

◆ **მატარებლების მიმოსვლა.** სექტემბერში მატარებლების წესიერად მოძრაობისათვის დანიშნულია შემდეგი რიგი: №21 თბილისი—ბათომი. №22 ბაქო—თბილისი. №23 პეტროვსკი—ბაქო. №42 ბათომი—სამტრედია. №43 თბილისი—ერევანი და №4 თბილისი—ბაქო. დანარჩენი მატარებლები, რომელნიც მოძრაობდენ აგვისტოში, ისევე განაგრძობენ მოძრაობას სექტემბერში.

◆ **მატარებელთა შეტაკება.** 25 აგვისტოს ღამის 8 საათზე სადგურებ არაზდანიანსა და ნორაშენს შუა მოხდა მატარებელთა შეტაკება. დაჯახების დროს მოკლულია 31 და დაჭრილია 30 მგზავრი. დაიმსხვრა ორთქმავალი და 3 ვაგონი. უბედურება მოხდა ტელეგრაფის მოქმედების შეწყვეტის გამო, მატარებლები გაგზავნილი იყვნენ შეუთანხმებლივ.

პარტიული ცხოვრება

ბანძის რაიონული პარტიული კონფერენცია.

1921 წელს 21 აგვისტოს შესდგა ბანძის სახალხო თეატრის დარბაზში, რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ყველა თემების პარტიული უჯრედებიდან, ყოველ ათ წევრზე ერთი დელეგატი, სულ 27 ამხ. თავმჯდომარეობდა ამხ. დავით მესხი; მისი ამხანაგად არჩეულ იქნა იოსებ პატარაია, მდივნად ანტონ კაკუბერი. დღის წესრიგი: 1) პრეზიდიუმის არჩევა სამი კაცისაგან; 2) საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა; 3) ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა, 4) რაიონული კომიტეტის მოხსენებები ადგილებიდან; 5) მოხსენებები ადგილებიდან; 6) რაიონული კომიტეტის არჩევა; 7) სამაზრო კონფერენციისათვის დელეგატების არჩევა: 8) რაიონული კორესპონდენტის არჩევა და 9) მიმდინარე საქმეები.

კონფერენციის პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელ მდივანმა, ამხ. მაკარი შედიამ გააკეთა მოხსენება შესახებ საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის; მან განუმარტა კრებას რუსეთის წარსული, აწმყო და მომავალი. დახასიათა აგრეთვე საერთაშორისო ბურჟუაზიის დამოკიდებულებანი საბჭოთა რუსეთთან და მნიშვნელობა ევროპასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების. დელეგატები მოხსენებით კმაყოფილი დარჩნენ. მოხსენება რაიონის ყოფილ კომიტეტის მუშაობის შესახებ, ამხან მარკოზ კიკელიასი, არ იყო დამაკმაყოფილებელი, რადგან კომიტეტის მუშაობას ბევრი დამაბრკოლებელი ობიექტიური მიზეზები გადაღობებია და ამასთან მისი შემადგენლობა ორი ამხანაგით განისაზღვრებოდა, მაშინ როდესაც რაიონის კომიტეტები უნდა ყოფილიყო არა ნაკლები 5 წევრისა. მოხსენებები ადგილებიდან განისაზღვრებოდა პარტიულ მუშაობის შაბათობის მოწყობის, სამხედრო ვარჯიშობის და სხვათა შესახებ ცნობებით.

კონფერენციამ პარტკომის პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები. 1) იასონ ბერდაია, 2) დავით მესხი, 3) არტემონ ბერდაია, 4) მარკოზ კიკელია, 5) კოსტა ქუთელია, 6) იოსებ ასამშვილი და 7) ევლიან პატარაია. სამაზრო კონფერენციაზე გასაგზავნად ყრილობამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: 1. გიორგი მიქავა, 2. მარკოზ კიკელია, 3. რამინ ფანცულაია, 4. თეოფანე ქაჯაია და 5. კოსტა ქუთელია. რაიონულ კორესპონდენტათ იასონ ბართაია. დანარჩენი საკითხების გარჩევა უდროობის გამო გადაიდო შემდეგისათვის.

ი. ბართაია.

—

სალხინო (სენაკის მაზრა).

1921 წელს, 23 აგვისტოს შესდგა სალხინოს რაიონის პარტიული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო სენაკის მაზრის პარტკომის წარმომადგენელი ამხ. ვანო ჩიკვეტაძე.

კონფერენციას ხსნის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. პ. ჩარგაზია, რომელმაც წარუდგინა კონფერენციას დასამტკიცებლათ შემდეგი დღის წესრიგი:

1) პრეზიდიუმის არჩევნები.
2) სამანდატო კომისიის არჩევნები.
3) მისასალმებელი დეპეშები.
4) მოხსენება მომენტზე.
5) მოხსენება რაიკომიტეტისა.
6) მოხსენება რაიონში ორგანიზაციული მუშაობის შესახებ.
7) მოხსენება ადგილებიდან.
8) რაიპარტკომის არჩევნები.
9) სამაზრო კონფერენციაზე არჩევნები.
10) სარაიონო კორესპონდენტის არჩევნები.
11) მიმდინარე კითხვები.

წამოყენებულ დღის წესრიგს კონფერენცია ამტკიცებს უცვლელად.

პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქმნენ შემდეგი ამხანაგები: 1) თავმჯდომარედ ამხ. ილია ცავა. ამხანაგებად: 2. თომა გადილია, 3. ალექსენტი ბერულავა. მდივნად: 4. მალაქია ფირცხალავა და 5. გერასიმე ხვიჩია. სამანდატო კომისიაში არჩეულ იქმნენ: 1. ამხ. ისიდორე გულორდავა, 2. იროდი კვირილავა, 3. მიხა ჯანელიძე, რომლებმაც წარუდგინეს პრეზიდიუმს ანგარიში დამსწრე დელეგატებზე. კონფერენციას დაესწრო 26 დელეგატი—ყველანი გადამწყვეტი ხმით. მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს.

მოხსენებას მომენტზე აკეთებს ამხ. ვანო ჩიკვეტაძე. მან თავისი ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით დაახასიათა დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა—ვრცლად შეეხო მენშევიკების სამი წლის საქართველოში ბატონობას და მათ მიერ მოღალატური და კონტრრევოლუციონური პოლიტიკას საბჭოთა რუსეთის მიმართ. ამხ. მომხსენებელმა მკაფიოდ აღნიშნა ერთი მხრით ის ეკონომიური კრიზისი, რომელსაც განიცდის დღეს ყველა იმპერიალისტური ქვეყნები და მეორე მხრით მესამე ინტერნაციონალის საგრძნობლად გაძლიერება, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება სოციალისტური რევოლიუცია. მეორე ინტერნაციონალი და მისი გაკოტრებული ბელადების პოლიტიკა, რომელიც ფაქტიურათ მიმართული არის ბურჟუაზიის ძირდამპალ ტახტის გასამაგრებლად და მსოფლიო რევოლიუციის ჩასაფუშებლად, მიზანს ვერ მიაღწევს და კომუნისტური რევოლიუციის ძლიერი მას სამუდამოთ დაამარცხებს. შორს არ არის ის საბედნიერო დღე, როდესაც მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი მთელ მსოფლიოში საბჭოთა წითელ დროშას აფრიალებს.

ამ სიტყვებმა დელეგატებში შორის გამოიწვია დიდი აღფრთოვანება, ხანგრძლივი ტაში; აგრეთვე ამხ. ჩიკვეტაძე ამხანაგების დავალებით შეეხო შაბათობის მნიშვნელობას და ქალთა საკითხს. შაბათობის შესახებ ამხანაგმა მოუწოდა კონფერენციას მისი ღირსეულად ცხოვრებაში გატარება.

ამხ ნაგი ვრცლად ეხება ქალთა საკითხს და აღნიშნავს, თუ როგორ მონობაში იმყოფებოდა მშრომელი ქალი და რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური რევოლიუციის ხანაში ქალთა შორის მუშაობას და მათი აღზრდა განვითარებას.

მოხსენებით კონფერენცია დარჩა დიდად კმაყოფილი. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება მომენტის და ჩვენი პოლიტიკის შესახებ, მზად ვართ ყოველ წუთში მხარი დავუჭიროთ და გვერდში ამოვუდგეთ საბჭოთა მთავრობას. ყოველივე ის ნაბიჯები, რომელიც არის გადადგმული საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ, არის მიზან-შეწონილი და ადგილობრივი პირობებთა შეფარდებული.

მოხსენება რაიკომიტეტისაგან გააკეთა ამხ. პ. ჩარგაზიამ, რომელმაც ხაზი გაუსვა ყველა იმ პარტიულ მუშაობას, რომელიც არის გაკეთებული დღიდან გადატრიალებისა. კონფერენცია დარჩა კმაყოფილი.

მოხსენება რაიონში ორგანიზაციულ მუშაობის შესახებ გააკეთა რაიკომის პასუხისმგებელ ინსტრუქტორმა ამხ. ისიდორე გულორდავამ, რომელმაც აცნობა კრებას, თუ რამდენი ჩინასახი არსებობს მთელს რაიონში. აღნიშნა აგრეთვე ჩინასახების დადებითი და უარყოფითი მხარეები და დასკვნა: ორგანიზაციული მუშაობა მთელს რაიონში სდგას თავის სიმაღლეზე, რითაც კმაყოფილი დარჩა კონფერენცია. შემდეგ დაიწყო მოხსენება ადგილებიდან: სალხინოს თემიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. ჩარგაზია, რომლიდან გამოირკვა შემდეგი: თემში ექვსი იაჩეიკაა, სხვადასხვა გაზეთ-ლიტერატურას ვღებულობთ კარგად, ჩინასახებში მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ, თემში არსებობს სამკითხველო. დამუშავებულია საბჭოთა სამეურნეო მიწა დაახლოვებით 12 ქცევამდე და არსებობს სხვა დაწესებულებები.

კოწიის თემიდან მოხსენებას აკეთებს პასუხისმგებელი ინსტრუქტორი თომა გადილია: თემში—ექვსი იაჩეიკაა, მეცადინეობა სწარმოებს ყოველ კვირაში ერთხელ, პირველ ხანებში გაზეთ ლიტერატურით და სხვა საკანცელარიო ნივთებით დახმარება ცოტა იყო, მაგრამ ეს ნაკლი გამოსწორებულია და ეხლა ყველა ასეთებს ვღებულობთ კარგად.

თამაკონის თემიდან ლაპარაკობს თემის პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი, ამხ. გერასიმე ხვიჩია თემში ექვსი იაჩეიკაა, სისტემატიური მეცადინეობა ჩინასახებში სწარმოებს კვირაში ერთხელ, სამკითხველო არსებობს, გაზეთ ბროშიურებს ვღებულობთ კარგად.

კურზუს თემიდან ლაპარაკობს ამხ. მალაქია ფირცხალავა: თემში ოთხი იაჩეიკაა, მათში ყოველ-კვირაობით მეცადინეობა სწარმოებს, სხვა და სხვა პოლიტიკური ლიტერატურას ვღებულობთ კარგად, სამკითხველო არსებობს.

შემდეგ კონფერენციამ რაიკომში ამოირჩია შემდეგი ამხანაგები: 1. პიმენი ჩარგაზია, 2. ისიდორე გულორდავა, 3. ალექსანდრე ჯოჯუა, 4. ილია ცავა, 5. თომა გადილია, 6. გერასიმე ხვიჩია და 7. ალექსენტი ბერულავა; კანდიდატებად: 1. იროდი კვირილავა და 2. ალექსანდრე გადილია.

კონფერენცია, ძველი რაიკომის შემადგენლობას, მისი ენერგიული მუშაობისათვის, უცხადებს ღრმესი მადლობას და აჯილდოვებს ხანგრძლივი ტაშით—უცხადებს მათ სრულ ნდობას და ტოვებს თავთავის ადგილზე.

სამაზრო კონფერენციაზე დასასწრებლად ამორჩეულ იქნენ: 1. პიმენი ჩარგაზია. 2. ისიდორე გულორდავა. 3. თომა გადილია. 4. ილია ცავა და 5. ალექსენტი ბერულავა.

სარაიონო კორესპონდენტად არჩეული იქნა ამხ. ისიდორე გულორდავა. შემდეგ სხვა და სხვა მიმდინარე საკითხების შესახებ ლაპარაკობს ამხ. ვანო ჩიკვეტაძე, რომელიც აშუქებს ყოველივე ასეთ საკითხებს და იძლევა შესაფერი სახელმძღვანელო დარიგებებს მათი ცხოვრებაში გასატარებლად.

ამოიწურა რა ყოველივე საკითხები, კონფერენციამ ერთხმად დაადგინა: გულწრფელად მიესალმოს საქართველოს კომუნისტური პარტიის უმაღლესი ორგანოს ცენტრალურ კომიტეტს და მის მიერ ნდობით აღჭურვილ საბჭოთა მთავრობას, უსურვებს მათ ყოველივე დაბრკოლებების გადალახვას. ჩვენ—როგორც ერთი კაცი ვფიცავთ: უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა საამაყო საბჭოთა წითელი დროშა, ჩვენ ავწევთ ის გიგანტიური ბრძოლა, რომელიც სწარმოებს შრომასა და კაპიტალს შორის, აუცილებლად დაგვირგვინდება მშრომელთა გამარჯვებით და კაპიტალიზმის სრული კრახით. დაე ძრწოდეს მთელი ქვეყნის მტაცებლები და სოციალ გამცემი მენშევიკები, ვინაიდან მოახლოვებულია მათი უკანასკნელი დღეები, შორს არ არის ის ძლევამოსილი წითელი ტალღა, რომელიც დაანგრევს მთელი ქვეყნის მჩაგვრელ მქვლეფელთა ტახტს და მის ნანგრევებზე აფრიალებს საბჭოთა წითელ დროშას.

მაშ გაუმარჯოს ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტური რევოლიუციას.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს და მის თავმჯდომარე ამხ ზინოვიევს.

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას და მის უდიდეს ხელმძღვანელს ამხ. ტროცკის.

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა საამაყოს, ბურჟუაზიის თავზარდამცემს და ურყევი რევოლიუციონურ ბელადს ამხ. ლენინს.

ამით დამთავრდა კონფერენცია. დელეგატები აღფრთოვანებულნი კონფერენციის მუშაობით და „გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტური პარტიას“ ძახილით დაიშალნენ.

ი. გულორდავა.

საქ. წითელ ლაშქარში

შაბათობა მუშურ გლეხურ ს. ნაპირო № პოლკში.

20 აგვისტოს 1921 წ. გაიმართა შაბათობა რომელშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ორმოცდაცხრა წ. არმიელმა

შაბათობის მიზანი იყო პოლკის, შტაბის, ყაზარმების, ეზოების, ქუჩების დაგვა და ფეხს ლაგების გაწმენდა რომელიც სისრულეში იქმნა მოყვანილი. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს მუშურ გლეხურ № პოლკის წით. არმიელთა ერთსულოვნება, რომელნიც შეგნებულად და დაუღალავად აწევენ ხელი ხელჩართულ შეგნებულ მუშაობას, ეს სწორედ მაგალითია იმათთვის, რომლებიც შორიდან შეცქერიან ჩვენ შეგნებულ ნაყოფიერ შრომას. დიდი მადლობის ღირსნი არიან ასეთი ამხანაგები, რომლებიც შეგნებულად და დაუღალავად ხელი ხელ ჩართული ასრულებენ რევოლიუციის და მშრომელთა წინაშე მოვალეობას.

ძვირფასნო ამხანაგებო! თქვენ თქვენი შეგნებული და ერთსულოვანი მუშაობით ამაგრებთ მუშურ გლეხურ ხელის უფლებას და მტრებს გულს უკლავთ ნაყოფიერ შრომით.

გაუმარჯოს შეგნებულ შრომას

გაუმარჯოს მუშურ გლეხურ ხელის უფლებას!

გაუმარჯოს შაბათობას.

სამხედრო კომისარი გვალია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების შესახებ.

1. კომპეტენცია განყოფილებისა.

1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან დაარსებულ იქნეს **ცეცხლისაგან დაცვის განყოფილება.** საქართველოს სოც. საბჭ. მთელი რესპუბლიკისათვის.

2. ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას ექვემდებარება მთლად საქართველოს სოც. ს. ბ. რესპუბლიკაში ცეცხლის ქრობის ყოველი საქმე, სახელდობრ:

ა) ყოველი ცეცხლისმქრობელი რაზმი, სადარაჯო და ცეცხლის მქრობელი სხვა ორგანიზაცია, როგორც პროფესიონალური, ისე მოხალისეთა და საეგრო, მათ შორის,—გამოუკლებლივ,—სამხედრო, სარკინიგზო და სანავთსადგურო, რაც კი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) აღრიცხვა ცეცხლის საწინააღმდეგო ყოველგვარი ძალისა რესპუბლიკაში იმ აზრით, თუ რამდენია: ცეცხლისმქრობელი რაზმი, მოხალისეთა გუნდი, პირადი შედგენილობა, ტეხნიკური გამართულობა და ხელსაწყო.

გ) ცეცხლის გაჩენის სტატისტიკა.

დ) ცეცხლისქრობის ინსპექცია, რომლის ფუნქციას შეადგენს:

I. თვალყურის დევნება და კონტროლი იმისათვის, თუ რამდენად სისწორით სრულდება ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების სავალდებულო დადგენილება. განკარგულება და ბრძანება;

II. თვალყურისდევნება და კონტროლი, თუ როგორ სწარმოებს ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების მიერ დანიშნული გამოკვლევა ცეცხლის გაჩენის საქმისა—ქალაქებში, სოფლებში, ფაბრიკებში, ქარხნებში, რკინისგზისა და წყლის ტრანსპორტის მოწყობილობაში, საარტილერიო, სასურსათო და სამეურნეო-სანივთო საწყობებში, საზღვაო პუნქტებში და ყოველ,—გამოუკლებლივ—წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობაში, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ სერიოზულ ცეცხლის მძლეობა და ცეცხლის საწინააღმდეგო მოწყობილობას, რათა მიეცეს მათ სათანადო დარიგება—ცეცხლისაგან უზრუნველყოფისათვის და მასთან საბრძოლველად საჭირო ღონისძიებათა მისაღებად;

III. ხელმძღვანელობა და თვალყურისდევნება ადგილობრივ ინსტრუქტორებისა და ცეცხლისმქრობელი რაზმებისა და გუნდების უფროსთა საქმიანობისათვის მთლად რესპუბლიკაში;

IV. გამოცდის მოხდენა ცეცხლისმქრობელი რაზმის ახლად დანიშნული უფროსებისათვის, აგრეთვე ასეთივე გამოცდა სამსახურში მყოფ ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსთა.—

V., საინსტრუქტორო ხელმძღვანელობა და რევიზიის მოხდენა ადგილობრივ ცეცხლისმქრობელ ორგანიზაციათათვის ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების წინადადებით და სხვა მისი მინდობილობის ასრულება.

ვ., ცეცხლისქრობის დამხმარე ყოველი დაწესებულება, რომელიც მიჩნეული იქნება საჭიროდ ცეცხლისაგან დაცვის საქმის სწორედ დაყენებისა და განვითარებისათვის.

3) ცეცხლისაგან დაცვის განყოფილება შეიმუშავებს მთლად რესპუბლიკისათვის ყოველგვარ სავალდებულო დადგენილებას ცეცხლის მიმართ გაფრთხილებისა და მის თავიდან აცილების საწინასწარო ღონისძიებათა შესახებ,

4) ამტკიცებს თანამდებობაზე ყოველ ახლად დანიშნულ ინსტრუქტორს, ცეცხლისმქრობელი რაზმის უფროსს და მაზრების და ქალაქების რევოლიუციონურ კომიტეტის ცეცხლისქრობის ქვე განყოფილების გამგეს, რომელთაც მიიწვევს სამსახურში ქალაქისა და მაზრის კომუნალური განყოფილება.

2. კონსტიტუცია

5) საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკაში ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების სათავეში სდგას ქ. ტფილისის ბრანდმაიორი, რომელსაც ეწოდება-ცეცხლისაგან დაცვის ინსპექტორი რესპუბლიკაში; იგი არის სრული პასუხისმგებელი მთლად ცეცხლისქრობის საქმისა განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში.

6) განყოფილებას აქვს ქვე-განყოფილებანი: საქალაქო, სამაზრო, სამარაგოსი და საინსტრუქტორო, რასაც სათავეში უდგანან გამგეები, რომელნიც უშუალოდ ემორჩილებიან ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების ინსპექტორს.

7) საქალაქოს ქვე-განყოფილების გამგებლობაში შედის ყოველი ცეცხლისმქრობელი რაზმი, სადარაჯო და სხვა ცეცხლისმქრობელი ორგანიზაცია რესპუბლიკის შემდეგ ქალაქებისა: ტფილისისა, ბათუმისა, ქუთაისისა და ფოთისა.

შენიშვნა: ქუთაისი, როგორც სამრეწველო ცენტრი, საქალაქო ქვე-განყოფილების გამგებობაშია, მაგრამ თვით ამ ქვე-განყოფილებისა დაევალება რესპუბლიკის ცეცხლისაგან დაცვის ინსპექტორს.

8) სამაზრო ქვეგანყოფილება ხელმძღვანელობას უწევს მთლად ცეცხლისქრობის საქმეს მაზრაში, კომუნალური მეურნეობის განყოფილების ქვე განყოფილებათა საშუალებით, და სამაზრო ქვე-განყოფილების გამგის მეთაურობით.

9) მამარაგების ქვე-განყოფილება განაგებს ცეცხლისმქრობელი რაზმებისა და ორგანიზაციების ყოველგვარ სამარაგო საქმეს მთლად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ჰპირთავს პირადი შედგენილობის საქმის წარმოებას,—აწარმოებს მთლად ინვენტარის აღრიცხვას და ფულისა და მატერიალურ ანგარიშს და მოაწყობს ცეცხლის ქრობის სარემონტო სახელოსნოებს.

10) საინსტრუქტორო ქვე განყოფილება უწევს საინსტრუქტორო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ყოველ ორგანოს, რომელიც ექვემდებარება ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას რესპუბლიკაში; მოაწყობს ახალ ნაწილებს, განყოფილების წინადადებას თანახმად; შეიმუშავებს სავალდებულო დადგენილებათა პროექტს; განიხილავს საკითხს ცეცხლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ; თვალყურს ადევნებს განყოფილების მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებისა, განკარგულებისა და ბრძანებას სათანადო ასრულებას; ცეცხლის ქრობის სწავლის საქმეს და აწარმოებს ცეცხლის გაჩენის სტატისტიკას. ამ ქვე განყოფილების გამგებლობა დაევალება რესპუბლიკაში ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების ინსპექტორის თანაშემწეს.

3. ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილებანი.

11) ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების ორგანოებად მაზრაში ითვლებიან ცეცხლისაგან დაცვის ქვეგანყოფილებანი, რომელნიც მოეწყობიან სამაზრო კომუნალური მეურნეობის განყოფილებასთან ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების ქვე განყოფილების უფლებით.

12) ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ჰნიშნავს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი (რევკომ.) და ამტკიცებს თანამდებობაზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მთავარი კომუნალური მეურნეობის სამმართველოს ცეცხლისაგან დაცვის განყოფილება; უკანასკნელს უფლება აქვს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ წარმოდგენილი კანდიდატების დასაბუთებულად უკუქცევისა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ მოხდა, საკითხს გადასწყვეტს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგია.

13) ცეცხლისაგან დაცვის სამაზ. რო ქვე-განყოფილების გამგის თანამდებობისაგან გადაყენებისა და დათხოვნის უფლება აქვს მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებისათვის შეტყობინებისა და მისი დასტურის მიღების შემდეგ.

შენიშვნა: უკეთუ ადგილობრივ არ მოიპოვება ცეცხლის ქრობის საქმისათვის შესაფერი კანდიდატი, მთავარი კომუნალური მეურნეობის ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას უფლება აქვს უშუალოდ დანიშნოს სამაზრო ქვე განყოფილების გამგე და სხვა პასუხისმგებელი მომუშავე ცეცხლის ქრობის საქმისათვის.

14. რესპუბლიკაში ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას უფლება აქვს საჭიროებისდაგვარად გადაიყვანოს ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე განყოფილებისა, სათავეში და სასოფლო ცეცხლისმქრობელი რაზმები საკომანდო შემადგენლობა და თანამშრომლები სხვა ადგილას,—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მთავარი კომუნალური მეურნეობის განყოფილების სამმართველოსადმი გაცემული ბრძანებით.—ასეთი ბრძანება ასრულებულ უნდა იქნეს სამხედრო ბრძანების ასრულების წესით.—

15 ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე განყოფილების კომუნალურ მეურნეობისა ხელთ არის მაზრის ტერიტორიაზე არსებული ყოველი ცეცხლისმქრობელი რაზმისა და ორგანიზაციის მართვა-გამგეობა და მომარაგება, აგრეთვე ცეცხლისქრობის მეკარის ხელმძღვანელობა.

16) ყოველი ბრძანება და განკარგულება რესპუბლიკაში ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებისა უნდა ასრულებულ იქნეს ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილების მიერ აუცილებლად; უკეთუ განყოფილების ამა თუ იმ განკარგულების მაზრის ქვე-განყოფილება არ ეთანხმება, იგი ამ განკარგულებას განასაჩივრებს-სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საშუალებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წინაშე, ხოლო თვით განკარგულების ასრულებას არ შეაჩერებს.

17) ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილებანი აწარმოებენ მაზრის ქალაქებისა და სოფლების სახლეობისა, ფაბრიკა-ქარხნებისა, საწყობებისა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებათა მდგომარეობის გამოკვლევასაც ცეცხლის გაჩენის ახრით; თვალ-ყურს ადევნებენ ცეცხლის საწინააღმდეგო წესის, განკარგულების და სავალდებულო დადგენილების სათანადოდ ასრულებას;—აგრეთვე ხიდებისა და მდინარეთა მისადგომ ადგილთა დამართების წესიერად აგება-კეთებას, მოვლასა და შეკეთებას; შეიმუშავებენ მაზრებისათვის ცეცხლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გეგმას, რომელსაც დასამტკიცებლად,—კომუნალური მეურნეობის საშუალებით, წარუდგენენ მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს და რესპუბლიკაში ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას.

18) ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე განყოფილება ხელს შეუწყობს ყოველგვარი მისაწდომი საშუალებით ცეცხლის საწინააღმდეგო ტეხნიკური ცოდნის გავრცელებას ხალხში.

19) მაზრის ყველა სოფელში, სადაც საჭიროდ იქნება მიჩნეული, მოეწყობა ცეცხლის მქრობელი რაზმი, გუნდი, როგორც პროფესიონალური, ისე მოხალისეთა და მეგარავალდებულთა. მათ სათავეში უდგანან ცეცხლისქრობის ხელმძღვანელნი (ბრანდმეისტერი) ან რაზმის უფროსნი, რომელნიც პირდაპირ ექვემდებარებიან მაზრაში ცეცხლისაგან დაცვის საქმის გამგეს.

20) დებულება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ სალამაძე.

1921 წ. აგვისტოს 31.

ტფილისი სასახლე.

ბრძანება № 181

ყველა ქალაქის და მაზრის რევკომებთა იუსტიციის განყოფილებებთან არსებული დამსჯელი ქვე განყოფილებანი გაუქმებულ იქნენ; დამსჯელ ქვე განყოფილებათა საქმენი ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა უნდა გადაეგზავნოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილებას.—

იუსტიციის სახალხო კომისარი ხ. ქავთარაძე.

საქმეთა მმართველი ნ. ქიქოძე.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღის ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე 5-ეთ რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

პროფესიონალური

იხსნება კურსები ასოთ-ამწყობებისათვის.

მიიღება მოწაფეთა სწარმოებს მბეჭდავთა კავშირის კულტგანყოფილებაში (მუშათა სასახლე ოთახი № 33 დილის 9-10 საათამდე), სადაც შეიძლება მიღება ყოველგვარი ცნობებისა. ორივე ჯგუფში როგორც რუსულზე ისე ქართულზე მიიღებიან წერა კითხვის მცოდნენი 16-30 წლამდე. კურსანტები მიიღებენ ორმაგ ჯამაგირს, და ერთ გირვანქა პურს დღეში, გარდა ჩვეულებრივ მუშათა მაგიდის ნორმისა.

— ქალ. თბილისის და მის რაიონების მებოსტნეების და მებაღეების ადგილობრივი კომიტეტი 4 სექტემბერს, კვირას, დღის 12 საათზე ბიუროს ბინაზე (ვორონცოვის ქ., № 91) იწვევს მებოსტნეების და მებაღეების საზოგადო კრებას შემდეგი საკითხების განსახილველად: 1. დამშეულთა დახმარება. 2. ბოსტნები და ბაღები ქალაქის რევკომის ახალ ბრძანებებთან დაკავშირებით. 3. ადგილობრივ კომიტეტის ახალი წევრების არჩევანი. 4. მიმდინარე საქმეები.

დასწრება სავალდებულოა ყველასთვის. ვინც არ დაესწრება არა-პატივსადებ მიზეზის გამო, მის წინააღმდეგ ზომები იქნება მიღებული, კავშირიდანაც კი შეიძლება გამოირიცხოს.

კრება შესდგება რამდენიც უნდა წევრი გამოცხადდეს ნაშუადღევის 1 საათამდე.

სხვა და სხვა

— დაიკარგა სახალხო სასურსათო კომისარიატის სართიჭალის თავის დამამზადებელ პუნქტის ბეჭედი, რომელიც ჩაითვალოს გაუქმებულად.

— თბ. კომ. [illegible] ქალთა განყოფილება აცხადებს, რომ კვირას, 4 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში დანიშნულია პირველი შეერთებული კრება სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებში მომუშავე ქალებისა. მოხსენებას გააკეთებენ ამხ. ნუცუბიძე და ვირაპი, შემდეგ თემაზე: პროფკავშირების მიზნები და ამოცანები.

მბეჭდავთა კავშირის გამგეობა

ამით აცხადებს კავშირის წევრთა საყურადღებოთ, რომ 1 სექტემბრისათვის დანიშნული სრულიად საქართველოს პოლიგრაფიული წარმოების კონფერენცია გადადებულია და დანიშნულია 15 სექტემბრისათვის 1921 წ. ვინაიდან გამგეობა ღებულობს პროვინციელ ამხანაგებიდან ცნობას, რომ მათ 1 სექტემბრისათვის ჩამოსვლა არ შეეძლებათ. გამგეობა.

სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ 11 სექტემბერს, ამა წელს,

შესდგება სრულიად საქართველოს სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირის ყრილობა

დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი და საბჭოთა აღმშენებლობა, 2) ანგარიში ცენტრალური გამგეობისა, 3) ანგარიში სარევიზიო კომისიისა, 4) მოხსენება ადგილებიდან, 5) ორგანიზაციული მიზანი კავშირისა, 6) მოხსენება ტარიფის შესახებ, 8) მოხსენება ს. მ. უ. საბჭოს სურსათის განყოფილებიდან, 8) მოხსენება პურის საცხობის განყოფილებიდან, 9) პროფკავშირის მონაწილეობა წარმოებაში, 10) კულტ. განყოფილების მოხსენება, 11) მუშათა მომარაგება, 12) არჩევნები ცენტრალური გამგეობისა, 13) არჩევნები სარევიზიო კომისიისა.

სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირის გამგეობა.